



# კავკასიის უნივერსიტეტი

## კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

|                                      |            |
|--------------------------------------|------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება |            |
|                                      | ფსიქოლოგია |

|   |            |
|---|------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე |            |
|   | Psychology |

|   |              |
|---|--------------|
| უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური |              |
|   | ბაკალავრიატი |

|                                |                     |
|--------------------------------|---------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი |                     |
|                                | აკადემიური პროგრამა |

|               |   |
|---------------|---|
| სწავლების ენა |   |
|               | საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე |

|                           |                        |
|---------------------------|------------------------|
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია |                        |
| ქართულად:                 | ფსიქოლოგიის ბაკალავრი  |
| ინლისურად:                | Bachelor in Psychology |

|                        |   |
|------------------------|---|
| პროგრამის ხელმძღვანელი | თანახემმძღვანელები: ზურაბ ბიგვავა (ფსიქოლოგიის დოქტორი) ელენე ჩომახიძე (ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი) |
|------------------------|---|

|  |  |
|--|--|
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით  |  |
| <p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ჰუმანიტარული სკოლის სტუდენტებისთვის 4 წელს შეადგენს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრ. საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასე-</p> |  |

|   |
|---|
| <p>ბისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრ. საათს).</p> <p>ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის 180 ECTS კრედიტი (75%) ეთმობა პროფესიისათვის აუცილებელ კომპეტენციათა გამომუშავებას, მათ შორის 125 ECTS კრედიტი – სპეციალობის სავალდებულო საგნებს, 30 ECTS კრედიტი – უცხო ენის (ინგლისური ენა) მოდულს, 25 ECTS კრედიტი – ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებს.</p> <p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა იძლევა საშუალებას, რომ:</p> <p><b>ა. ამ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს</b> საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 ECTS კრედიტიდან 180 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ მიენიჭოს „ფსიქოლოგიის ბაკალავრის“ შუალედური კვალიფიკაცია.</p> <p><b>ბ. ამ პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტმა</b> ფსიქოლოგიის პროგრამის არჩევითი საგნების სამი მოდულიდან აირჩიოს ნებისმიერი საგნები, რითაც გაიღრმავებს ცოდნას საკუთარი ინტერესების შესაბამისად, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რის საფუძველზეც მას მიენიჭება კვალიფიკაცია სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში.</p> <p><b>გ. ამ პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტმა</b> სწავლების მეოთხე წელს აირჩიოს და სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლასა და სახელმწიფო მართვის სკოლაში მოქმედ ნებისმიერ Minor დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე, 60 ECTS კრედიტის ფარგლებში.</p> <p><b>დ.</b> ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ასევე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლისა და სახელმწიფო მართვის სკოლის <b>სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს</b> აძლევს საშუალებას იმისას, რომ დამამთავრებელ მეოთხე ეტაპზე სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის Minor დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე – დამატებითი სპეციალობის მისაღებად, 60 ECTS კრედიტის ფარგლებში.</p> |
|---|

|                                       |  |
|---------------------------------------|--|
| <b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b> | <p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხვა კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებების სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაზე.</p> |
|---------------------------------------|--|

|                                 |  |
|---------------------------------|--|
| <b>პროგრამის მიზანი</b>         | <p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია განათლების პირველი საფეხურის სტანდარტების შესაბამისი ფსიქოლოგიის ბაკალავრის ან/და ფსიქოლოგიის დამატებითი სპეციალობის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საბაზო თეორიული ცოდნის დაუფლებას ფსიქოლოგიის დარგების ძირითად დისციპლინებში, აგრეთვე შესაბამისი უნარ-ჩვევების შემუშავებას.</p>   |
| <b>პროგრამის სწავლის შედეგი</b> | <p><b>სტუდენტი კურსის გავლის შემდეგ შეძლებს გამოავლინოს შემდეგი უნარები:</b></p> <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <p>კურსდამთავრებულს აქვს ფსიქოლოგიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, ის აცნობიერებს თავისი პროფესიის არსსა და სოციალურ მნიშვნელობას, ფსიქოლოგიის პროფესიული საქმიანობის მიზნებსა და ძირითად ფუნქციებს.</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საგნისა და ამოცანების დახასიათება;</p> <p>აქვს ცოდნა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის შესახებ;</p> <p>იცნობს ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ</p> |

აღმოჩენებს;

იცის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების ისტორია; იცნობს ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად მეთოდებს;

შეუძლია კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ბაზისურ დონეზე, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი –**

კურსდამთავრებულს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;

კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, ხელმძღვანელობით/რეკომენდაციებით კვლევის ჩატარება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

კურსდამთავრებულს შეუძლია საბაზისო დონეზე თეორიული თუ ემპირიული/ექსპერიმენტული კვლევითი პროექტის სხვადასხვა კომპონენტის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ხელმძღვანელობით/რეკომენდაციებით მათი გადაჭრა, ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენება სხვადასხვა საკითხების (პიროვნული, სოციალური თუ ორგანიზაციული) მიმართ;

კურსდამთავრებული იცავს ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის წარმოდგენისას.

საბაზისო და სპეციალური მომზადების (გაღრმავებული სწავლების) შედეგად კურსდამთავრებული შეძლებს დიაგნოსტიკური, საექსპერტო, კორექციული, პროფილაქტიკური, სარეაბილიტაციო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საგამანათლებლო, სასწავლო-აღზრდელობითი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას განათლების, ჯანდაცვის, მართვის, წარმოებისა და ბიზნესის, აგრეთვე მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროში.

**დასკვნის უნარი –** კურსდამთავრებულს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; კურსდამთავრებულს აქვს ფსიქოლოგიური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის უნარი, შეუძლია ერთი და იგივე მოვლენის, ფენომენის თუ კონცეფციის სხვადასხვა (თეორიული თუ დარგობრივი) კუთხიდან დანახვა – გაანალიზება, ინფორმაციის შემადგენელ ნაწილებად დაშლა და დასმული ამოცანის (პრობლემის) შესაბამისი სინთეზი;

შეუძლია ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენება სხვადასხვა საკითხის (პიროვნული, სოციალური თუ ორგანიზაციული) მიმართ;

აქვს პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი, შეუძლია დასმული პრობლემის გადასაწყვეტად სხვადასხვა წყაროდან (ბიბლიოთეკა, ინტერნეტ-რესურსები) შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება;

**კომუნიკაციის უნარი**

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი მოსაზრებების თანამიმდევრულად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით;

შეუძლია გამართული მეტყველება და წერა, საკუთარი თუ სხვისი აზრის მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა როგორც ზეპირი, ისე წერიტი ფორმით, მასალის ძირითადი აზრის გაგება და მოკლე შინაარსის დამახინჯების გარეშე გადმოცემა;

|                                   |   |
|-----------------------------------|---|
|                                   | <p>კურსდამთავრებულს აქვს ფსიქოლოგიურ ლიტერატურაზე მუშაობის ჩვევა, რაც გამოიხატება პრობლემის თუ ამოცანის შესატყვისი ინფორმაციის გამოყოფაში, დამუშავებასა და კლასიფიცირებაში, შენახვასა და ადეკვატურ გადმოცემაში;</p> <p>მას შეუძლია მონაწილეობის მიღება ფსიქოლოგიურ თემებისადმი მიძღვნილ დისკუსიებში, კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, პროფესიულ საზოგადოებასთან მოლაპარაკების წარმოება და თავისი მოსაზრებებისა თუ შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება-დაფიქსირება.</p> <p><b>სწავლის უნარი</b></p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებათა გაცნობიერება და ამ პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვა;</p> <p>კურსდამთავრებულს აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად შეაფასოს სწავლის პროცესი; შეუძლია პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება;</p> <p>ამა თუ იმ მიმართულებით დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება;</p> <p>მის წინაშე არსებული პრობლემის ღრმა და საფუძვლიანი გააზრება და მისი დამლევა-გადალახვის ქმედითი ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ჯგუფის დანარჩენი წევრების კომპეტენციისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით სათანადო სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება;</p> <p>საკუთარი სწავლისა და პროფესიული -განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება.</p> <p>აქვს სწავლის, პრაქტიკული პროექტის შემუშავებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.</p> <p><b>ღირებულებები</b></p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p> <p>პროფესიული ეთიკის სტანდარტების – ჰუმანიზმი, მიუკერძოებლობა, კონფიდენციალობის დაცვა, ტოლერანტობა, პროფესიული კეთილსინდისიერება და სხვ. – დაცვა, ჯამრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში მონაწილეობა.</p> |
| <p><b>დასაქმების სფეროები</b></p> | <p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა სტუდენტს საშუალებას აძლევს პროგრამის დასრულებამდე დაიწყოს ზრუნვა პროფესიულ კარიერაზე, ჩაერთოს სტაჟირების პროგრამებში.</p> <p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს განათლების, ჯანდაცვის, მართვის, წარმოებისა და ბიზნესის, მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროში და სხვ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს კვლევითი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები; ტრენინგის ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარი; ბავშვთა და მოზრდილთა პოლიკლინიკა, ბავშვთა და მოზრდილთა სარეაბილიტაციო ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა საკონსულტაციო ცენტრები; სპეციალიზებული საბავშვო დაწესებულებები (საბავშვო ბაღი და სკოლა), სარეკლამო და PR ინდუსტრია, საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრები, კერძო პრაქტიკა და ა.შ.</p>  |

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება მოითხოვს სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას და ეფუძნება შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს.

გავლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შემდეგს:

- მიმდინარე შეფასება;
- დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება;
- შუა სემესტრული შეფასება;
- საბოლოო გამოცდის შეფასება.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ისე წერიტი (ტესტი, სემინარი, პრეზენტაცია, საკურსო ნაშრომი, ღია კითხვები, ესე და ა.შ) გამოკითხვა. აუცილებელი მოთხოვნაა საშინაო დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

**შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:**

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

### სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ითვალისწინებს მთელი რიგი მეთოდების გამოყენებას:

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქციური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი
3. წერიტი მუშაობის მეთოდი
4. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი – ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.
5. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.
6. პრეზენტაცია

პირობითობისა და კრიტიკული მიდგომის ერთობლიობით, პროგრამას გააჩნია შემოქმედებითი და

კრიტიკული პოზიციების კოორდინირების სტატუსი. მომრავი გამოსახულებისა და მისგან წამოსული ინფორმაციის კომბინირების ხერხები და საშუალებები სწავლების ის ალტერნატივაა, რომელიც ასეთ კომბინაციას მსოფლიოში აპრობირებულ ტრადიციებსაც უახლოებს და სწავლების ნოვაციას ქმნის.

პროგრამის სასწავლო კურსები

| სასწავლო კურსის დასახელება        | სასწავლო კურსის აღწერა   | სავალდებულო/<br>არჩევითი | ECTS<br>კრედიტი | სწავლების<br>სემესტრი |
|-----------------------------------|--|--------------------------|-----------------|-----------------------|
| საქართველოს ისტორია               | საქართველოს ისტორიის სასწავლო კურსი მოიცავს ჩვენი სამშობლოს ისტორიას უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. იგი წარმოადგენს ლექციების ადაპტირებულ კურსს, სადაც განხილულია როგორც ზოგადი საკითხები - ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ქართველების ეთნოგენეზი და ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ხალხთა ენებს შორის, ასევე ძირითადი საკითხები - ქართველი ხალხის (ზოგჯერ, მისი მეზობელი, ან მის წარსულთან დაკავშირებული სხვა ხალხების) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი ფაქტები.  | სავალდებულო              | 5               | I                     |
| საინფორმაციო ტექნოლოგიები         | კურსი უზრუნველყოფს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლების შესწავლას, ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს:<br><ul style="list-style-type: none"> <li>➤ ინფორმაცია, ინფორმაციის საზომი ერთეულები</li> <li>➤ კომპიუტერის არქიტექტურა,</li> <li>➤ ოპერაციული სისტემა,</li> <li>➤ ინტერნეტ-ტექნოლოგიები, საოფისე პროგრამები</li> </ul>   | სავალდებულო              | 5               | I                     |
| თანამედროვე აზროვნების საფუძვლები | კურსის განმავლობაში ყურადღება დაეთმობა ტექსტების სიღრმისეულ ანალიზს, ზოგადად ადამიანური პრობლემების წვდომას, სიცოცხლის საზრისის ძიებას, ადამიანის თავისუფალი არჩევანის, ნების მნიშვნელობის უპირატესობის გააზრებას.   | სავალდებულო              | 5               | I                     |
| აკადემიური წერა                   | კურსი მოიცავს აკადემიური წერის ძირითად ელემენტებს და პრინციპებს თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. კურსის მსვლელობისას სტუდენტები გაიცნობენ აკადემიური წერის არსსა და საჭიროებას; ისწავლიან თუ რა ტიპის აკადემიური ნაშრომები არსებობს, რა სტრუქტურული ელემენტებისგან უნდა შედგებოდეს ისინი, რა ფორმატით უნდა იყოს წარმოდგენილი და, ზოგადად, რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. რამდენადაც კურსი საბაკალოვრო პროგრამის ნაწილია და ამ საფეხურზე სტუდენტები არ წერენ დიდი მოცულობის აკადემიურ ნაშრომს (მაგ.: დისერტაცია, სამეცნიერო სტატია და ა.შ.), ძირითადი ყურადღება დაეთმობა ესეს (არგუმენტირებული) წერას. ამასთანავე ყურადღება გამახვილდება ქართული ენის მართლწერის საკითხებზეც და ასევე | სავალდებულო              | 5               | I                     |

|                                 |   |                    |          |              |
|---------------------------------|---|--------------------|----------|--------------|
|                                 | პრობლემურ გრამატიკულ თუ სტილისტურ ასპექტებზე. ყურადღება გამახვილდება აკადემიური სტილის დაცვის საკითხებზე, წყაროების მითითების სათანადო წესებსა და ა.შ.  |                    |          |              |
| <b>ზოგადი ინგლისური B1.0</b>    | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისათვის საჭირო სპეციფიურ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსისა და მეორე სემესტრის სალექციო კურსის წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისათვის რომ აიღოს B1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>I</b>     |
| <b>ფსიქოლოგიის საფუძვლები-1</b> | კურსის დანიშნულებაა სტუდენტებს მისცეს საბაზისო ცოდნა ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებებისა და ფაქტების შესახებ. კურსი მიზნად ისახავს კონტექსტუალური საფუძვლების, სათანადო ორიენტირების შექმნას პროგრამული დისციპლინების ათვისებისა და შემდგომი პროფესიული სრულყოფისათვის. კურსი მოიცავს ზოგადი ფსიქოლოგიის უმთავრეს საკითხებს. მასში განმარტებულია, თუ რას და როგორ შეისწავლის ფსიქოლოგიური მეცნიერება. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს, შეისწავლიან ფსიქიკური პროცესების უმთავრეს კანონზომიერებებს.<br>კურსის ფარგლებში განხილულია შემდეგი საკითხები: ფსიქოლოგიის საგანი და მეთოდები; ფსიქოლოგიის სახეები და დარგები, ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები, ცნობიერების კატეგორია, ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობები, არაცნობიერი ფსიქიკა, შემეცნებითი პროცესები: ყურადღების ფსიქოლოგია, შერჩევის ფსიქოლოგია. | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>I</b>     |
| <b>ზოგადი ინგლისური B2.0</b>    | მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსის მეშვიდე ეტაპს. იგი აქცენტირებულია, ერთის მხრივ რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებაზე, რაც კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს სამეტყველო უნარ-ჩვევებს. მოცემული კურსი ქმნის წინაპირობას B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) შესაბამისი სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელი ენობრივი კომპეტენციის შესაძენად.  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>I/III</b> |



|                                    |  |                           |                 |                     |
|------------------------------------|--|---------------------------|-----------------|---------------------|
| <p><b>სოციოლოგიის შესავალი</b></p> | <p>კურსი სოციოლოგიის შესავალი სტუდენტებს გააცნობს სოციოლოგიისთვის საკვანძო კატეგორიებს. მათ გადაეცემათ ცოდნა სოციალური ინსტიტუტების, მათი თავისებურებებისა და ფუნქციონირების შესახებ. განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საზოგადოებათა სხვადასხვა - აგრარული, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული ტიპები; სტრატეგიკა, როლი და სტატუსი; კულტურა, ღირებულებები და ნორმები; სოციალიზაცია და აგენტები; ეთნოსი, ეთნოცენტრიზმი და რელატივიზმი; სუბკულტურები და მარგინალები; გენდერი, რიტუალები და ყოველდღიურობა. სტუდენტები გაეცნობიან ისეთ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, როგორებიცაა კულტურა, რელიგია, ეკონომიკა, მათი თავისებურებები და მუშაობის სპეციფიკა.</p>                      | <p><b>სავალდებულო</b></p> | <p><b>5</b></p> | <p><b>II</b></p>    |
| <p><b>ზოგადი ინგლისური B1</b></p>  | <p>სალექციო კურსში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აზრის წერილობითი ფორმით ჩამოყალიბების უნარის გამომუშავებასა და თემატურად რთული, მოცულობითი მასალის კითხვის უნარ-ჩვევების შექმნაზე, ასევე აზრის ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარის დახვეწა-გამდიერებასა და სხვათა გაბმული მეტყველების გაგებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსიკური მარაგის გამდიდრება; იწყება მუშაობა დერივატივებისა და კომპოზიტების წარმოებასა და გამოყენებაზე, ასევე ფრაზეოლოგიზმების საბაზისო მარაგის შექმნაზე. ლექსიკური მარაგი დაახლოებით 2000 სიტყვაა.</p>   | <p><b>სავალდებულო</b></p> | <p><b>5</b></p> | <p><b>II</b></p>    |
| <p><b>ზოგადი ინგლისური B2</b></p>  | <p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. კურსი ორიენტირებულია ყველა იმ ენობრივი უნარ-ჩვევის დახვეწა-გადრმავებაზე, რომელიც კურსდამთავრებულს ინგლისურენოვან გარემოში/ინგლისური ენის მატარებლებთან სპონტანური და შუფერხებელი კომუნიკაციის/დისკუსიის საშუალებას მისცემს. მოცემული კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენცია, რათა გაიგოს და გარკვეული მომზადების შედეგ – ჩაერთოს მის დარგობრივ სფეროში მიმდინარე დისკუსიაში. მოცემული კურსის წარმატებულად გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება აუცილებელი ენობრივი ცოდნა B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად.</p> | <p><b>სავალდებულო</b></p> | <p><b>5</b></p> | <p><b>II/IV</b></p> |
| <p><b>ნეიროფიზიოლოგია</b></p>      | <p>ფსიქიკური პროცესების მაორგანიზებელი და მაკონტროლებელი ორგანო ცენტრალური ნერვული სისტემაა. ფსიქიკური პროცესების, ასევე ფსიქიკური მდგომარეობის აღმოცენების, მიმდინარეობა/განვითარებისა და ფსიქიკური პროცესების დარღვევათა კანონზომიერებების ანალიზი უცილობლად მოითხოვს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური ორგანიზაციის იმ ფუნდამენტური პრინციპების ცოდნას, რასაც ნეირომეცნიერების ერთ-ერთი</p>   | <p><b>სავალდებულო</b></p> | <p><b>5</b></p> | <p><b>II</b></p>    |

|                                 |   |                    |          |            |
|---------------------------------|---|--------------------|----------|------------|
|                                 | მიმართულება – ნეიროფიზიოლოგია – შეისწავლის. შესაბამისად, ფსიქიკური პროცესების ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ფსიქოლოგის მომზადება.  |                    |          |            |
| <b>ფსიქოლოგიის საფუძვლები-2</b> | კურსის – „ფსიქოლოგიის საფუძვლები-1“-ის გაგრძელებაა. კურსის დანიშნულებაა სტუდენტებს მისცეს საბაზისო ცოდნა ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებებისა და ფაქტების შესახებ. შესაბამისად, კურსის ძირითადი მიზანია კონტექსტუალური საფუძვლების, სათანადო ორიენტირების შექმნა პროგრამული დისციპლინების ათვისებისა და შემდგომი პროფესიული სრულყოფისათვის. კურსი მოიცავს ზოგადი ფსიქოლოგიის უმთავრეს საკითხებს: ფსიქიკური პროცესების ძირითადი კანონზომიერებები, ქცევისა და პიროვნების სტრუქტურა და განვითარების საკითხები. კურსის ფარგლებში განხილულია შემდეგი საკითხები: აღქმის ფსიქოლოგია, მეხსიერების ფსიქოლოგია, აზროვნების ფსიქოლოგია, ემოციების ფსიქოლოგია, ქცევის ფსიქოლოგია. პიროვნების ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია. ფსიქიკის განვითარება ფილოგენეზსა და ონტოგენეზში | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>II</b>  |
| <b>განვითარების ფსიქოლოგია</b>  | განვითარების ფსიქოლოგიის ფარგლებში განხილულია ადამიანის ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური და ფსიქოსოციალური განვითარების თავისებურებები მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში, მათ შორის ბავშვობასა და მოზარდობაში, აგრეთვე განვითარების კანონზომიერებები, რომლებიც განპირობებულია ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედებით. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნონ ამ სფეროში დაგროვილ თეორიულ ცოდნას, კვლევის მეთოდებსა, ემპირიულ აღმოჩენებს, სხვადასხვა ასაკში ადამიანის განვითარების კანონზომიერებებს.   | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>II</b>  |
| <b>სოციალური ფსიქოლოგია</b>     | კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებები, თეორიული მიდგომები, ემპირიული აღმოჩენები და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენების კვლევის ძირითადი შედეგები, სოციუმში პიროვნების ქცევის კანონზომიერებები, არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოციალური ფსიქოლოგიის ფუძემდებლურ ექსპერიმენტებს, აგრეთვე ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების გააზრებას. საგანგებოდ იქნება გაანალიზებული ის სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორიები, რომლებმაც შეუწყო ხელი არა მხოლოდ სოციალური ფსიქოლოგიის, არამედ ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარებას.   | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>II</b>  |
| <b>ზოგადი ინგლისური C 1.0</b>   | ინგლისური ენის მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. მოცემული სალექციო კურსი წინა სალექციო კურსის  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>III</b> |

|                                     |  |                    |          |            |
|-------------------------------------|--|--------------------|----------|------------|
|                                     | ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და ორი შემდგომი სემესტრის წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს C 1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი.   |                    |          |            |
| <b>ზოგადი პათოლოგიის საფუძვლები</b> | კურსი ერთ-ერთი ფუნდამენტალური, მაინტეგრირებელი დისციპლინაა, რომლის დანიშნულებაც ფსიქოლოგიის თეორიული ბაზისისა და კლინიკური აზროვნების ფორმირების ხელშეწყობაა. თანამედროვე ექსპერიმენტული და კლინიკური მონაცემების შესწავლა უზრუნველყოფს ფსიქიკური ფაქტორის როლის გაცნობიერებას გავრცელებულ ფსიქოსომატურ დაავადებათა წარმოქმნაში, ფიზიოლოგიურ სისტემებში პათოლოგიური პროცესების მექანიზმების განვითარებაში. კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი საკითხების სწავლება: ჯამრთელობისა და დაავადების ცნებები, დაავადების გამომწვევი მიზეზები და გარემო პირობების მნიშვნელობა დაავადების წარმოშობაში. ორგანიზმის რეაქტიულობა და რეზისტენტობა. ინდივიდუალური რეაქტიულობის თავისუბრებების დამოკიდებულება პიროვნების სქესზე, ასაკსა და კონსტიტუციაზე, კონსტიტუციის ტიპები და კონსტიტუციის როლი პათოლოგიის განვითარებაში | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>III</b> |
| <b>ფსიქოლოგიის ისტორია</b>          | ფსიქოლოგიის ისტორიის კურსი ქმნის ფსიქოლოგიური განათლების საფუძველს. მასში განხილულია ძირითადი ფსიქოლოგიური შეხედულებები, მათი მონაცვლეობის ლოგიკა უძველესი დროიდან გასული საუკუნის დასაწყისამდე. კურსში წარმოდგენილია, თუ როგორ იცვლებოდა ფსიქოლოგიის უმთავრესი ცნებების შინაარსი და ფუნდამენტური პრობლემების გადაჭრის გზები. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ფსიქოლოგიის ისტორიის საკვანძო მომენტებს.  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>III</b> |
| <b>ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები</b> | კურსი ეძღვნება ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის ემპირიული თუ ექსპერიმენტული კვლევის დაგეგმვის, კვლევის მეთოდის შერჩევის, კვლევის (საველე სამუშაოების) ჩატარების საკითხებს. თანამედროვე ფსიქოლოგია ემპირიული მეცნიერებაა, შესაბამისად, კვლევის მეთოდოლოგიის სწავლება ფსიქოლოგიის მომზადების უცილებელი პირობაა. კვლევის მეთოდის კურსი მყარ საფუძველს ქმნის სხვა ფსიქოლოგიური დისციპლინების შესასწავლად.   | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>III</b> |
| <b>განათლების ფსიქოლოგია</b>        | განათლების ფსიქოლოგიის კურსის მიზანია განათლების ფსიქოლოგიის საფუძვლების შესწავლა. კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა თეორიულ და ექსპერიმენტულ მონაცემების იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობს ადამიანი. განხილული იქნება რამდენიმე მიდგომა, რომლებშიც განათლების ფსიქოლოგიაში გამოყენებული დასწავლის თეორიების ფორმირება მოხდა. ესენია: ბიჰევიორიზმი, კოგნიტივიზმი, სოციალურ-კოგნიტური თეორია და  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>III</b> |

|   |   |                    |          |            |
|---|---|--------------------|----------|------------|
|   | კონსტრუქტივიზმი.  |                    |          |            |
| <b>საზოგადოებასთან ურთიერთობა</b>                                     | კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი ელემენტები და პრინციპები. კურსის მსვლელობისას სტუდენტები შეისწავლიან საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, მიმოიხილავენ დარგის განვითარების ისტორიას, გაიაზრებენ პიარ-პროცესებს, შეისწავლიან საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ტექნოლოგიას, სხვადასხვა დარგის პიარ-სპეციალისტის მუშაობის სპეციფიკას. კურსის შედეგად სტუდენტს შეეძლება განავითაროს საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმა და გააკეთოს გეგმის განხორციელების შედეგების პროგნოზირება, გამოუმუშავდეს იმ ტიპის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც ხელს შეუწყობს ისეთი კომპეტენციების მიღწევას, როგორცაა ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გადატანის, დასკვნის გაკეთებისა და კომუნიკაციის უნარი. | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>III</b> |
| <b>ზოგადი ინგლისური C 1</b>   | კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის აღმოჩენებს; მედიასა და ჟურნალისტიკას; კანონსა და საზოგადოებას; ხელოვნებასა და გართობის საშუალებებს; ბიზნესსა და ეკონომიკას; მეცნიერებას და ეკოლოგიას. განხილულ იქნება თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, ფრაზული ზმნები და იდიომატური გამოთქმები. სტუდენტებს შეეძლებათ ესეების, იმიელების და მცირე ზომის ნარკვევების წერა.   | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>IV</b>  |
| <b>კვლევის მონაცემების დამუშავება (კომპიუტერული პროგრამა SPSS-ით)</b> | კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სოციალურ და, კერძოდ, ფსიქოლოგიურ კვლევაში მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენების თეორიულ საფუძვლებს და დაეუფლებიან ემპირიული თუ ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებს კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის – SPSS-ის გამოყენებით.  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>IV</b>  |
| <b>ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები</b>                         | კურსის დანიშნულებაა სტუდენტს გამოუმუშაოს ორიენტაციის უნარი თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითად მიმდინარეობებში: გაიგოს ძირითადი თეორიული სისტემების შინაარსი, აგრეთვე იმ უმთავრესი მეთოდოლოგიური და თეორიული პრობლემების არსი, რომელთაც ამუშავებს თანამედროვე ფსიქოლოგია. სტუდენტი გაეცნობა თანამედროვე ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებების ფარგლებში შექმნილ ძირითად კონცეფციებს.  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>IV</b>  |
| <b>პიროვნების ფსიქოლოგია</b>  | კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებს, პიროვნების კვლევის მეთოდებს, ემპირიულ აღმოჩენებსა და პიროვნების ფენომენების კვლევის ძირითად   | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>IV</b>  |

|   |   |                    |          |           |
|---|---|--------------------|----------|-----------|
|   | შედეგებს, სოციუმში პიროვნების ქცევის კანონზომიერებებს, არსებულ პრობლემებს, გაეცნობა მათი გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტებს.   |                    |          |           |
| <b>ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები</b>  | კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლებს, ამ დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას, მის ძირითად ცნებებს – ნეიროფსიქოლოგიურ სიმპტომატიკასა და სინდრომებს. მიღებული ცოდნა ქმნის იმ საფუძველს, რომელიც შემდგომში მისცემს სტუდენტს საშუალებას გამოიყენოს ნეიროფსიქოლოგიური მიდგომა უფრო ფართო დანიშნულებით – იქნება ეს მედიცინისა თუ კლინიკური ფსიქოლოგიის სხვა რომელიმე სფერო, თუ პედაგოგიკა ან კროს-კულტურული კვლევები.  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>IV</b> |
| <b>პათოფსიქოლოგია</b>   | კურსი ითვალისწინებს პათოფსიქოლოგიის საფუძვლების სწავლებას. პათოფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგია, რომელიც შეისწავლის ადამიანის ფსიქიკური მოქმედების თავისებურებებს ფსიქიკური ან სომატური დაავადებით განპირობებული ტვინის პათოლოგიური მდგომარეობის შემთხვევაში. პათოფსიქოლოგია, როგორც თეორიული დისციპლინა, შეისწავლის ანომალური განვითარების ბიოლოგიურ და სოციალურ-კულტურულ თავისებურებებს, სიმპტომების წარმოქმნის მექანიზმებს, ინდივიდუალური, პიროვნული და მოტივაციური ფაქტორების როლს ფსიქოპათოლოგიური სინდრომების სტრუქტურისა და დინამიკის დეტერმინაციაში.   | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>IV</b> |
| <b>PT 1 პროფესიული სამიზნენა (სოციალური მეცნიერებები)</b>   | ამ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან აუთენტურ ტექსტებს სხვადასხვა მომიჯნავე დისციპლინებიდან;<br><b>განსახილველი საკითხები: სოციოლოგია:</b> სოციოლოგიის არსი და მისი რაობა; დემოგრაფიული პრობლემები – თანამედროვე ოჯახი; ხანდაზმული მოსახლეობა; მშობლები და შვილები; დიდი ქალაქები; თანამედროვე ამერიკული სკოლა და მისი სოციალური გარემო;<br><b>ფსიქოლოგია:</b> ადამიანის ქცევა; ბიჰევიორიზმის ბიოლოგიური საფუძვლები; მოტივაცია; ფსიქოლოგიური კვლევის თავისებურება; სოციალური გავლენა – კონფორმიზმი და მორჩილება; შემეცნება – აზროვნება, აღქმა, მეხსიერება; ემოციები – სტრესი; The Motivation Hygiene Theory – ფრედერიკ ჰერცბერგის მოტივაციის თეორია, მოტივაციის და ჰიგიენის ფაქტორები. აბრაამ მასლოუს იერარქიის თეორია. | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>V</b>  |
| <b>კვლევის მონაცემების დამუშავება მრავალგანზომილებიანი მეთოდებით (კომპიუტერული პროგრამა SPSS-თ)</b> | კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სოციალურ და, კერძოდ, ფსიქოლოგიურ კვლევაში მათემატიკური სტატისტიკის თანამედროვე მრავალგანზომილებიანი მეთოდების გამოყენების თეორიულ საფუძვლებს და დაეუფლებიან ემპირიული თუ ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების მრავალგანზომილებიანი მეთოდებს კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის –  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>V</b>  |

|                                       |  |                    |          |          |
|---------------------------------------|--|--------------------|----------|----------|
|                                       | SPSS-ის გამოყენებით.   |                    |          |          |
| <b>კლინიკური ფსიქოლოგიის შესავალი</b> | კლინიკური ფსიქოლოგია კერძო ფსიქოლოგიური დისციპლინაა, რომლის საგანია სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობა და რომელიც მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ეტიოლოგია /აშლილობათა გამომწვევი მიზეზების შესწავლა/, აშლილობათა კლასიფიკაცია, დიაგნოსტიკა, ეპიდემიოლოგია, ინტერვენცია (პროფილაქტიკა, ფსიქოთერაპია, რეაბილიტაცია, ფსიქოჰიგიენა, შეფასება). კლინიკური ფსიქოლოგიის ცნებასთან ერთად ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოიყენება ცნება „ფსიქოპათოლოგია“ – ნაწილობრივ სინონიმის სახით, ნაწილობრივ კი – ფსიქოლოგიური დეფინიციებისა და ფსიქიკური აშლილობის ეტიოლოგიური თეორიებისათვის.  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>V</b> |
| <b>ფსიქოთერაპიის შესავალი</b>         | კურსის მიზანია ფსიქოთერაპიის საფუძვლების, თეორიული მოდელების, ფსიქიკაზე ზემოქმედების პრინციპების დაუფლება, რაც არის ამ მიმართულებით შემდგომი პროფესიონალიზაციის უცილობელი პირობა. კურსის ფარგლებში განხილულია შემდეგი საკითხები: პიროვნების ფსიქოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზები, მეტაფიზიკური (სულის) პარადიგმა და ფსიქოთერაპია, ემპირისტული (ცნობიერების) პარადიგმა ფსიქოთერაპიაში, ფსიქონალიტიკური პარადიგმა, ბიჰევიორისტური პარადიგმა ფსიქოთერაპიაში, კოგნიტური პარადიგმა ფსიქოთერაპიაში, ეკლექტური პარადიგმა, ფსიქოთერაპია და განწყობის ფსიქოლოგია.  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>V</b> |
| <b>კონფლიქტოლოგია</b>                 | კურსის მიზანია კონფლიქტოლოგიის პრობლემატიკის სისტემატიზირებული და ყოველმხრივი განხილვა. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან კონფლიქტების წარმოშობისა და მისი თავიდან აცილების გზებს. კურსის სპეციფიკური ნიშანია – კონფლიქტოლოგიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების სინთეზი.  | <b>არჩევითი</b>    | <b>5</b> | <b>V</b> |
| <b>ეთნოფსიქოლოგია</b>                 | ეთნოფსიქოლოგია ინტერდისციპლინური დარგია, რომელიც წარმოიქმნა სოციალური ფსიქოლოგიის, კულტუროლოგიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და ეთნოგრაფიის მიჯნაზე. ეთნოფსიქოლოგია სწავლობს სხვადასხვა ეთნიკური ერთობის წარმომადგენელთა ხასიათისა და ფსიქიკის ეროვნულ თავისებურებებს და ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე ახალი, რთული და პერსპექტიული დარგია. კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა ამ სფეროში დაგროვილ ცოდნას – კროს-კულტურული ფსიქოლოგიის ისტორიას, კროს-კულტურულ მიდგომას და თანამედროვე ეთნოფსიქოლოგიური სკოლების მონაპოვარს, გაერკვნა ეთნოფსიქოლოგიის არსში, გააცნობიერებს ადამიანის ფსიქიკისა და ქცევის კულტურულ განპირობებულობას, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება მას ზოგადფსიქოლოგიური ცოდნის ჩამოყალიბებაში. | <b>არჩევითი</b>    | <b>5</b> | <b>V</b> |

|  |  |             |   |    |
|--|--|-------------|---|----|
| გენდერული ფსიქოლოგია                                     | გენდერული ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური მეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის პიროვნების, როგორც გარკვეული სქესის წარმომადგენლის, მახასიათებლების ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებებს გენდერულად დიფერენცირებულ გარემოში. გენდერული ფსიქოლოგია არის არეალი, სადაც შეისწავება და განიხილება განწყობები, სტერეოტიპები, დისკრიმინაცია, სოციალური აღქმა და თვითაღქმა, სოციალური როლების და ნორმების წარმოშობა.  | არჩევითი    | 5 | V  |
| ხელოვნების ფსიქოლოგია                                    | ხელოვნების ფსიქოლოგია ახალ ესთეტიკურ და სულიერ ღირებულებათა შექმნის ფსიქოლოგიას გულისხმობს. თუ ესთეტიკა მხატვრული შემოქმედების ანალიზით არის დაკავებული, ხელოვნების ფსიქოლოგია შეისწავლის მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიურ მიდგომას, შემოქმედის ხასიათს, მის ჩართვას შემოქმედების პროცესში, მასში მიმდინარე ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, აგრეთვე შემოქმედების განმსაზღვრელ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს.   | არჩევითი    | 5 | V  |
| სპორტის ფსიქოლოგია                                       | სპორტის ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დარგია, რომელიც შეისწავლის სპორტსმენის პიროვნულ ნიშან-თვისებებსა და სპორტული ქცევის თავისებურებებს. იმის გამო, რომ სპორტისათვის დამახასიათებელია ძლიერი ფიზიკური და ემოციური დატვირთვა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენის ფსიქოლოგიურ მომზადებას მისი ფსიქოფიზიკური ძალების ოპტიმიზაციის მიზნით. ფსიქოლოგის მუშაობა სპორტში, ძირითადად, მიმართულია იმის გამოსაკვლევად, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის მოძრაობით აქტივობაზე ფსიქოლოგიური ფაქტორები, აგრეთვე რა გავლენას ახდენს სპორტი ადამიანის ფსიქიკის განვითარებაზე. | არჩევითი    | 5 | V  |
| მეორე უცხო ენა, I ნაწ (A1.0 ფრანგული/გერმანული/ესპანური) | კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტექსტებზე დაყრდნობით, დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში. განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკულად გამოყენება, საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე.  | არჩევითი    | 5 | V  |
| PT 2 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები)     | ამ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან აუთენტურ ტექსტებს სხვადასხვა მომიჯნავე დისციპლინებიდან;<br><b>განსახილველი საკითხები: სოციოლოგია:</b> დასაქმება; უმუშევრობით განცდილი სტრესი; ორგანიზაციული და სოციალური ეთიკა; ლიდერობა; ამერიკული სოციალური და ბიზნეს ეტიკეტი; სოციალური კვლევის სპეციფიკა;<br><b>ფსიქოლოგია:</b> ეგო, კულტურული და სოციალური გავლენა; ადამიანთაშორისი  | სავალდებულო | 5 | VI |

|   |   |                    |          |           |
|---|---|--------------------|----------|-----------|
|   | <p>ურთიერთობები – მოხიზვლა, ატიტუდი, სტერეოტიპები, სუბიექტური დამოკიდებულება; კლინიკური ფსიქოლოგია; ორგანიზაციის ფსიქოლოგია; მომხმარებლის ფსიქოლოგია; პოლიტიკური ფსიქოლოგია; დარწმუნება; ამ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან აუთენტურ ტექსტებს სხვადასხვა მომიჯნავე დისციპლინებიდან.</p>   |                    |          |           |
| <b>განწყობის ფსიქოლოგია</b>   | <p>კურსის ეძღვნება განწყობის ფსიქოლოგიის საფუძვლებს – თეორიულ მოდელებსა და ექსპერიმენტულ მეთოდოლოგიას. კერძოდ, კურსის ფარგლებში განიხილება შემდეგი საკითხები: ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ძირითადი ტერმინები და კატეგორიები, მეთოდოლოგიური პრიციპები, ქცევის განწყობისეული დეტერმინაცია, ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის ურთიერთმიმართება, ფსიქიკური პროცესების განწყობისეული მექანიზმები, განწყობის შექმნის პირობები, განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, განწყობის დიფერენციალური ფსიქოლოგია, განწყობა სულით ავადმყოფებთან.</p>   | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>VI</b> |
| <b>პიროვნების ზრდისაკენ მიმართული ფსიქოლოგიური კონსულტირების საფუძვლები</b> | <p>კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა ფსიქოკონსულტირების ძირითად მიდგომებს, სპეციფიკურ ნიშნებსა და თავისებურებებს, განსხვავებას ფსიქოთერაპიისაგან, პიროვნების ზრდისაკენ მიმართული ფსიქოკონსულტირების ფორმებს – ინდივიდუალურსა და ჯგუფურს, თერაპიულ საშუალებებს, ფსიქოკონსულტირების პროცესის სტრუქტურასა და სტადიებს, კონსულტანტის როლსა და ადგილს ფსიქოკონსულტაციის პროცესში, ფსიქოკონსულტირების ეთიკურ საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პიროვნების ზრდისაკენ მიმართული ფსიქოკონსულტირების თერაპიული საშუალებებსა და ფსიქოკონსულტირების ფორმებს, მათი გამოყენების უნარის შემუშავებას. წარმართება ჯგუფური დისკუსიები.</p>  | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>VI</b> |
| <b>ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები</b>   | <p>ფსიქოდიაგნოსტიკა არის ფსიქოლოგიის დარგი პიროვნების ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ თავისებურებათა შეფასების, გაზომვისა და კლასიფიკაციის მეთოდების კონსტრუირებისა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ამ მეთოდების პრაქტიკული მიზნებისათვის გამოყენების შესახებ. შესაბამისად, ფსიქო-დიაგნოსტიკას აქვს ორი ფუნქცია – სამეცნიერო და პრაქტიკული. პირველი გულისხმობს ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდების შექმნასა და მათი პრაქტიკული ვარგისიანობის შემოწმებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ფსიქოდიაგნოსტიკის მეორე ფუნქცია უკავშირდება პრაქტიკულ საქმიანობას – ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმას, რაც გულისხმობს სხვადასხვა ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენებას ფსიქოლოგი-პრაქტიკოსის მიერ.</p> | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>VI</b> |



|   |  |                    |          |           |
|---|--|--------------------|----------|-----------|
| <b>სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგის მართვის ტექნოლოგია</b> | <p>სასწავლო კურსით გათვალისწინებულია სოციალურ-ფსიქოლოგიურ ტრენინგის მართვის სწავლება. სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგის მიზანია ადამიანისათვის ცოდნის მიწოდება, გარკვეული უნარებისა და დამოკიდებულების შემუშავება და მოდიფიცირება სამუშაოს უფრო ეფექტურად შესასრულებლად.</p>   | <b>სავალდებულო</b> | <b>5</b> | <b>VI</b> |
| <b>იურიდიული ფსიქოლოგია</b>                               | <p>კურსი ეძღვნება ფსიქოლოგიისა და სამართალმცოდნეობის ურთიერთდაკავშირებულ საკითხებს. გათვალისწინებულია დევიაციური და ნორმატიული ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების სპეციფიკის შესახებ ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება სოციალური აქტივობის ზოგად-ფსიქოლოგიური კანონზომიერებების სრულფასოვანი გააზრებისა და ანალიზის საფუძველზე. კურსი ითვალისწინებს სოციალური მეცნიერებების შესაძლებლობების კომპლექსური გამოყენების უნარის ფორმირებას სოციალური ურთიერთობების ნორმატიული რეგულირების, სოციალური უსაფრთხოებისა და პროგრესის უზრუნველყოფის ოპტიმალური სტრატეგიის პრობლემატიკის კვლევის სფეროში.</p>   | <b>არჩევითი</b>    | <b>5</b> | <b>VI</b> |
| <b>ფსიქოლინგვისტიკის საფუძვლები</b>                       | <p>კურსი წარმოაჩენს საგანს მისი ფართო მნიშვნელობით, განიხილავს რა ენასა და მეტყველებას სხვადასხვა რაკურსით – როგორც საკუთრივ ფსიქოლოგიური, ასევე სოციოლოგიური და ნევროლოგიური. ფსიქოლინგვისტიკა ფსიქოლოგიისა და ენათმეცნიერების საზღვარზე აღმოცენებული დარგია, რომელიც, მიუხედავად თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიისა, ჯერ კიდევ "ახალგაზრდა" დისციპლინად ითვლება და მუდმივი განვითარების პროცესშია. თავდაპირველად ფსიქოლინგვისტიკის ინტერესის სფეროს მხოლოდ ვერბალური ერთეული – გამონათქვამი ან შეტყობინება – წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში კი მისი ყურადღების ცენტრში მოექცა მთლიანად "მოლაპარაკე ადამიანი" და მასთან დაკავშირებული თემების ფართო სპექტრი: რა არის ვერბალური ქცევა და რა განაპირობებს მას, რა პროცესებს აქვს ადგილი მეტყველების წარმოქმნისა და აღქმისას, როგორია მეტყველების ცერებრული ორგანიზაცია, რა კავშირია ენას/მეტყველებას, პიროვნებას და საზოგადოებას შორის, რა არის საჭირო ეფექტური ვერბალური კომუნიკაციისათვის და მრავალი სხვა.</p> | <b>არჩევითი</b>    | <b>5</b> | <b>VI</b> |
| <b>ფსიქომეტრიის საფუძვლები</b>                            | <p>კურსის ეძღვნება თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს ფსიქოლოგიური გაზომვისა, რომლის „ობიექტთა“ დიდი უმრავლესობა განეკუთვნება უხილავ, ანუ ჩვეულებრივი აღქმისათვის მიუწვდომელ, ფსიქოლოგიურ მახასიათებელთა სფეროს. ფიზიკური ობიექტებისაგან განსხვავებით, ასეთი ცვლადების დანახვა და, მაშასადამე, უშუალო გაზომვა შეუძლებელია და მოითხოვს ჯერ მათ გააზრებასა და „გამომვის“ გაშუალებული გზების მოძიებას.</p>  | <b>არჩევითი</b>    | <b>5</b> | <b>VI</b> |

|   |   |                 |          |            |
|---|---|-----------------|----------|------------|
|   | კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორცაა გაზომვის საბაზო ცნებები, სანდოობისა და ვალიდობის საფუძვლები, ტესტის ფსიქომეტრიული ხარისხის შემოწმების მეთოდები, ფსიგოდიაგნოსტიკური საზომი ინსტრუმენტების შექმნის პრინციპები, აგრეთვე უკვე არსებული ტესტების ანალიზის, ადაპტაციისა და ოპტიმიზაციის მეთოდები. ტესტის კლასიკურ თეორიასთან ერთად გათვალისწინებულია „გენერალიზებადობის თეორიისა“ და „პუნქტებზე პასუხების თეორიის“ (IRT) საფუძვლების შესწავლა.   |                 |          |            |
| <b>ეკონომიკური ფსიქოლოგია</b>                                     | ეკონომიკური ფსიქოლოგია არის მეცნიერება ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკონომიკური ქცევის ფსიქოლოგიური კანონზომიერებების შესახებ; კერძოდ, მისი შესწავლის საგანია ცალკეული პიროვნების, ადამიანთა ჯგუფებს, სოციალური ფენების, ხალხთა ცნობიერებაში ეკონომიკური მოვლენების ფსიქიკური ასახვის ფორმები, მათზე დაფუძნებული ეკონომიკური ქცევა, ფსიქიკური თავისებურებები და ინტერესები; ასევე ადამიანთა ცნობიერებასა და ქცევაში სამეურნეო ურთიერთობების ასახვა, რეალური ეკონომიკური სამყაროს მოდელებისა და სისტემების შესამუშავებლად ფსიქოლოგიური თეორიებისა და ზემოქმედების მეთოდების გამოყენება. | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VI</b>  |
| <b>პოლიტიკური PR</b>  | წინამდებარე კურსი პრაქტიკული ხასიათისაა, რომელიც ეძღვნება მასობრივი პოლიტიკური კომუნიკაციის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების, პოლიტიკური კონსულტირების, რეკლამის, იმიჯმეიკინგის ხერხების შესწავლას. შესაბამისად, კურსის მიზანია სტუდენტებისთვის რეალურ გარემოში კონკრეტული PR აქტივობების შესახებ ნათელი ორიენტაციის ჩამოყალიბება, კონკრეტული PR-დონისძიებების, PR-პროექტის შექმნის შესწავლა, იმიტირებული მოდელირებით თითოეული პროექტის ინდივიდუალური რეალიზაციის შესწავლა.  | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VI</b>  |
| <b>მეორე უცხო ენა, II ნაწ (A1 ფრანგული/გერმანული/ესპანური)</b>    | კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტექსტებზე დაყრდნობით, დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში. განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკულად გამოყენება, საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე.   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VI</b>  |
| <b>მეორე უცხო ენა, III ნაწ (A2.0 ფრანგული/გერმანული/ესპანური)</b> | კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორცაა: პირადი და პროფესიული  | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VII</b> |

|  |   |                 |          |            |
|--|---|-----------------|----------|------------|
|  | ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.  |                 |          |            |
| <b>ფსიქოსომატიკის საფუძვლები</b>         | ფსიქოსომატიკა კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებაა, რომელიც სწავლობს სომატური აშლილობის/ დაავადების ფსიქიკურ ასპექტებს. კურსით გათვალისწინებულია ფსიქოსომატიკის თეორიული საფუძვლების სწავლება და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემუშავება. კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ფსიქოსომატიკის საფუძვლებსა და თეორიულ პრინციპებს, ფსიქოსომატიკის თეორიებს, ფსიქოსომატური აშლილობის ძირითად ფორმებს – მათი ეტიოლოგიისა და კლინიკური სურათის გათვალისწინებით.   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VII</b> |
| <b>კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები</b>  | კურსის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს ფსიქოლოგისათვის აუცილებელი ინფორმაცია ფსიქიატრიის შესახებ, მათ შორის ფსიქიკური აშლილობების არსებითი ნიშნების ამოცნობისა და ფსიქიკური აშლილობის შემთხვევის მართვის საკითხები. კურსის ფარგლებში განხილულია შემდეგი საკითხები: ფსიქიატრიის საგანი და ამოცანები, ფსიქიატრიის კავშირი ფსიქოლოგიასთან და სხვა დისციპლინებთან, სიმპტომი და სინდრომი ფსიქიატრიაში, ფსიქიკურ დაავადებათა სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის პრინციპები, პაციენტის კვლევის მეთოდები ფსიქიატრიაში, სხვადასხვა სახის ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, პიროვნული აშლილობები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, დიფერენციალური დიაგნოსტიკა და სხვ. | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VII</b> |
| <b>სამედიცინო სექსოლოგიის საფუძვლები</b> | სამედიცინო სექსოლოგია კლინიკური მედიცინის დარგია, რომელიც შეისწავლის სქესობრივი დარღვევების ფუნქციონალურ, ემოციურ, პიროვნულ, სოციალურ-ადაპტაციურ და სხვა ასპექტებს მათი დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით. უკანასკნელი წლებში ეს დისციპლინა შეტანილია მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამაში, როგორც სავალდებულო კურსი მედიცინისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.  | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VII</b> |
| <b>ადამიანური რესურსების მართვა</b>      | კურსი ეძღვნება ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების (პერსონალის) მართვის საკითხებს, რაც გულისხმობს ადამიანის და ორგანიზაციის ოპტიმალური ურთიერთქმედების უზრუნველყოფას ორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით. ამ ურთიერთქმედების რეგულირების პროცესში აუცილებელია როგორც ორგანიზაციაში ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VII</b> |

|                                    |  |                 |          |            |
|------------------------------------|--|-----------------|----------|------------|
|                                    | მახასიათებლების, ისე ორგანიზაციის საქმიანობაში ადამიანის აქტიურ ჩართვაზე ზემოქმედი პარამეტრების გათვალისწინება და მართვა. შესაბამისად, ამ დისციპლინის თემატიკაზე მუშაობა, ძირითადად, პრაქტიკულ პლანში წარიმართება, რაც, სხვასთან ერთად, გულისხმობს ისეთი სასწავლო მეთოდების გამოყენებას, როგორცაა სიტუაციის სიმულაცია და შემთხვევის ანალიზი.   |                 |          |            |
| <b>ორგანიზაციული ფსიქოლოგია</b>    | სტუდენტი მიიღებს ცოდნას ადამიანის პროფესული საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების, მუშაკისა და ორგანიზაციის ურთიერთქმედების სპეციფიკურ კანონზომიერებების შესახებ, აგრეთვე შეისწავლის პიროვნებათმორის ურთიერთობათა კანონზომიერებებს ორგანიზაციაში მიმდინარე შრომის პროცესთან მიმართებაში. ნებისმიერი გამოყენებითი ხასიათის დარგის ძირითადი მიზანია პრაქტიკული ამოცანებს გადაწყვეტა, ამიტომ კურსის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საორგანიზაციო მოვლენების კვლევის მეთოდებს, რათა სტუდენტს შეუძლია იმის დადგენა, რომლებიც ხელს შეუწყობს მიღებული ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას პრაქტიკაში, განუვითარდეს სხვა ადამიანთან კორექტული ურთიერთობებისა და კომუნიკაციის უნარი, აგრეთვე დარგთაშორისი პრობლემური საკითხების გადაჭრის გზების მოძიების უნარი.  | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VII</b> |
| <b>პროექტის დაგეგმვა და მართვა</b> | სასწავლო კურსი გათვლილია სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ცოდნა პროექტების მართვის სფეროში და რომელთაც ესაჭიროებათ მენეჯერული უნარების შეძენა. კურსი აღწერს პროექტების იდენტიფიკაციის, შერჩევისა და დაგეგმვის ძირითად საკითხებს. კურსში განხილულ იქნება: პროექტის არსი, პროექტის სახეები, პროექტი და პროგრამა; პროექტის მისია, მიზნები, ამოცანები; პროექტის სტრატეგიული დაგეგმვა; პროექტის ფაზებად დანაწილება; პროექტთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა; რისკების გაანგარიშების მეთოდიკა და რისკების მართვის ორგანიზება; პროექტის ბიუჯეტირება; პროექტის დანერგვა – ადმინისტრაციული ამოცანების განაწილება; ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება; პროექტის პროგრამული კონტროლის პროცესი და მაჩვენებლები; პროექტის ფინანსური კონტროლის პროცესი და მაჩვენებლები; პროექტის რისკების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლებით კონტროლი; პროექტის დასრულება, დახურვა, ლიკვიდაცია. | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VII</b> |
| <b>სოციალური გავლენა</b>           | კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს და შეასწავლოს სოციალური გავლენის ფენომენი, საზოგადოებაში მოქმედი სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტის, როლური და ნორმატიული სისტემის ადამიანზე ზემოქმედების კანონზომიერებანი, სოციალურ გარემოში ადამიანის მაინტეგრირებელი   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VII</b> |

|  |   |                 |          |             |
|--|---|-----------------|----------|-------------|
|  | პირობების ბუნება.   |                 |          |             |
| <b>რეკლამის ფსიქოლოგია</b>                                     | წინამდებარე კურსით გათვალისწინებული მასალის გააზრება და ათვისება სარეკლამო სფეროში პრაქტიკული საქმიანობის აუცილებელი პირობაა, რაც ეფექტური რეკლამის შექმნის მიზნით პროფესიული რეკომენდაციების შემუშავებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, სტუდენტები შეისწავლიან იმ ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებებსა და ბუნებას, რომლებიც რეკლამის ეფექტურობას განაპირობებს. კერძოდ, კურსის ფარგლებში განხილულია შემდეგი საკითხები: სარეკლამო კომუნიკაციის საფუძვლად მდებარე ფსიქოლოგიური პროცესები; სოციალური შეფასება და შედარება; საკუთარი თავის რეკლამირება; სოციალური ზემოქმედების ის საშუალებები, რომლებიც სარეკლამო საქმეში გამოიყენება; რეკლამის აღქმასა და ინფორმაციის გადამუშავებაში მონაწილე ფსიქიკური პროცესების სისტემა; ზემოქმედების მექანიზმები, რომლებსაც პროპაგანდის მიზნით იყენებენ; მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებში განთავსებული რეკლამის სპეციფიკა. | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VII</b>  |
| <b>პიროვნება და სოციალური ქცევა</b>                            | წინამდებარე კურსით გათვალისწინებული მასალის გააზრება და ათვისება სარეკლამო სფეროში სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ ადამიანის პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ქცევას შორის ურთიერთკავშირის საკითხებზე თანამედროვე ფაქტობრივი, ექსპერიმენტული და თეორიულ მასალის შესწავლას. კურსის გავლის შედეგად სტუდენტს ეცოდინება, თუ რომელი პიროვნული ცვლადები, რამდენად და რა პროცესების მეშვეობით ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, პროფესიულ საქმიანობაზე, პირად ცხოვრებაზე.   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VII</b>  |
| <b>მეორე უცხო ენა, IV ნაწ (A2 ფრანგული/გერმანული/ესპანური)</b> | კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VIII</b> |
| <b>ეგზისტენციალური ფსიქოლოგია და ფსიქოთერაპია</b>              | სტუდენტები შეისწავლიან ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემატიკას (სიკვდილ-სიცოცხლის კონფლიქტი, სიყვარული, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, მარტოობა, სიცოცხლის საზრისი, შფოთვა   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VIII</b> |

|                             |   |                 |          |             |
|-----------------------------|---|-----------------|----------|-------------|
|                             | და ფობიები) იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია კიერკეგორის, ჰუსერლის, ბინსვანგერის, როლო მესის, ირვინ იალომის, ვან კამისა და ვიქტორ ფრანკლის ნაშრომებში. ისინი შეიძინენ ცოდნას ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის/ფსიქოტერაპიის ძირითადი მეთოდის – ფენომენოლოგიური მეთოდის შესახებ და ისწავლიან მის გამოყენებას საკუთარი გამოცდილების ანალიზის მიზნით. ამის საფუძველზე სტუდენტები შეძლებენ აგრეთვე სხვისი გამოცდილების, როგორც ფენომენის, ანალიზს, რაც ეგზისტენციალურ ფსიქოთერაპიაში მუშაობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. გარდა ამისა, ისინი შეიძენენ ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში საზრისის მოძიება-მიგნებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. |                 |          |             |
| <b>ფსიქოსინთეზი</b>         | ფსიქოსინთეზი ერთ-ერთი თანამედროვე ფსიქოთერაპიული მიმდინარეობაა. კურსის მიზანია ფსიქოსინთეზის თეორიის საფუძვლების შესწავლა და ფსიქოსინთეზის ტექნიკის, პრაქტიკული სავარჯიშოების საფუძვლიანი გაცნობა. კურსის ფარგლებში სტუდენტს საშუალება ექნება საკუთარ თავზე გამოსცადოს პრაქტიკული სავარჯიშოების ფსიქოთერაპიული ეფექტი. მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ის შეიძენს მომავალში თავის დამოუკიდებელ ფსიქოთერაპიულ და ფსიქოკონსულტაციურ მუშაობაში ამ ფსიქოთერაპიული მიმდინარეობის გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VIII</b> |
| <b>გემტალტთერაპია</b>       | სასწავლო კურსის ფარგლებში განხილულ იქნება გემტალტთერაპიის თეორია და პრაქტიკა და პიროვნული დარღვევები გემტალტთერაპიის მიხედვით. გემტალტთერაპიის თეორიული საფუძვლები მოიცავს შემდეგ საკითხებს: გემტალტთერაპიის ჩამოყალიბება და განვითარება, გემტალტის ბუნება, გემტალტი, ფიგურა და ფონი, კონტაქტი და კონტაქტის საზღვარი, კონტაქტი და შეგრძნების მოდალობები, კონტაქტი, გრძნობები და ძლიერი ემოციები, კონტაქტის პროცესი (სინტაქსისი), ურთიერთსაპირისპირო ძალთა ერთიანობა, პოლარულობები, დროსთან და სივრცესთან მიმართება, პიროვნული განვითარების სტადიები.  | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VIII</b> |
| <b>ბიზნესის ფსიქოლოგია</b>  | კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა ადამიანებს შორის ურთიერთობათა კანონზომიერებების შესახებ ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რომლებშიც ფსიქოლოგიური ცოდნის ხვედრითი წონა უაღრესად მაღალია. ბიზნესის ფსიქოლოგია მეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის მომგებიანი საქმის წარმოების ფსიქოლოგიურ ასპექტებს.   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VIII</b> |
| <b>ლიდერობის ფსიქოლოგია</b> | კურსი ემდვნება სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ცენტრალურულ სფეროს – ლიდერობის ფსიქოლოგიას. ლიდერობა გულისხმობს დომინირება-დაქვემდებარების, გავლენისა და გაყოლის ურთიერთობებს ადამიანთა შორის  | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VIII</b> |

|  |   |                 |          |             |
|--|---|-----------------|----------|-------------|
|  | სხვადასხვა ჯგუფებში. ლიდერობის ფსიქოლოგია სხვადასხვა სახის ლიდერებს სწავლობს – როგორც ოფიციალურს (ხელმძღვანელებს), ისე არაფორმალურს, მცირე (ოჯახი, სამეგობრო) და დიდი (ფირმა, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტია) ჯგუფის ლიდერებს, აგრეთვე კულტურის, ეკონომიკის, პოლიტიკის, კრიმინალური სამყაროს ლიდერებს და სხვ.  |                 |          |             |
| <b>ტრენინგი ტრენერისათვის (პრაქტიკუმი)</b> | წინამდებარე კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კონკრეტულ სიტუაციასთან მისადაგებელი ინტერაქტიული სავარჯიშოების გათამაშება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სატრენინგო პროგრამის შედგენისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შემუშავებას. კურსის ფარგლებში თითოეულ სტუდენტებს საშუალება ექნება თავად ჩაატაროს ტრენინგის სესიები და მიიღოს ლექტორის შენიშვნები და რეკომენდაციები, რაც არის „სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგის წამყვანის (ტრენერის) ჩამოყალიბების უცილობელი პირობა.   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VIII</b> |
| <b>პოლიტიკური ფსიქოლოგია</b>               | პოლიტიკური ფსიქოლოგიის კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან პოლიტიკური ფსიქოლოგიის საფუძვლებს, რაც არის ამ მიმართულებით (პოლიტკონსულტირება) შემდგომი პროფესიონალიზაციის უცილობელი პირობა. კურსის მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ პოლიტიკური ფსიქოლოგიის საფუძვლების, თეორიული მოდელების, ემპირიული კანონზომიერებების დაეუფლებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების შემუშავებას. კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა პოლიტიკური ფსიქოლოგიის ცნებებს, პოლიტიკური ფსიქოლოგიის კანონზომიერებებსა და თეორიებს, პოლიტიკური ფსიქოლოგიის მეთოდებს, პოლიტიკური ცნობიერების ქცევის და სუბიექტის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, რეალური და წარმოსახული პოლიტიკური სიტუაციის ფსიქოლოგიური ანალიზის პრინციპებს. | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VIII</b> |
| <b>გარემოს და დიზაინის ფსიქოლოგია</b>      | სასწავლო კურსი ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას და შეისწავლის ადამიანის და გარემოს ურთიერთმიმართებას და ურთიერთგავლენას სივრცით და დროით განზომილებებში. იგი სწავლობს გარემოს გავლენას ინდივიდის ქცევებზე, ასევე ინდივიდის მიერ გარემოს კოგნიტურ და ემოციურ აღქმას და იმას თუ როგორ ზემოქმედებს ადამიანი გარემოზე მისი კოგნიტურ-ემოციური განწყობებიდან გამომდინარე.   | <b>არჩევითი</b> | <b>5</b> | <b>VIII</b> |